ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3039073

ნომერი: AR1468564

თარიღი : 05.01.2017

გაცემის თარიღი : 10.01.2017

გაცნობის თარიღი : 10.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ფიროსმანაშვილი პ/ნ 14001001100
- ვაზისუბნის 3მრ, 1 კვ, 6კ, ბ18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2988941 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 05

იანვრის №AR1468564 განცხადებით მომართა თამაზ ფიროსმანაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2988941 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 31 აგვისტოს №331989 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივანი №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.032.543) ავტოსერვისის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2988941 ბრძანებით დაკმაყოფილდა თამაზ ფიროსმანაშვილის 2016 წლის 21 ნოემბრის №AR1450199 განაცხადი და შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 აგვისტოს №331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ, საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: ავტოსერვისი, საოფისე შენობა და სასაწყობე შენობა–ნაგებობა, მშენებლობის სახეობად დაფიქსირდა: ახალი მშენებლობა და რეკონსტრუქცია, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატა ფუნქციურ ზონებს შორის დანართი და ჩანაწერი: დაცული იქნას ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი. თუმცა, აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული არ არის ცვლილება მშენებლობის სახეობასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2988941 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის პირველი პრიმა პუნქტი: „1’. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.08.2012 წ. #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა და რეკონსტრუქცია“. სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2988941 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 08 დეკემბრის №2988941 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.